საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თიანეთი

თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გერბი

თიანეთი, დაბა (1960-იდან), აღმოსავლეთ საქართველოში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი). თიანეთის მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს თიანეთის ქვაბულში, მდ. ივრის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1100 მ თბილისიდან 78 კმ. 2,5 ათ. მცხ. (2014).

თ-ში ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ცივი ზამთარი და ხანგრძლივი გრილი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 7,5°C იანვ. საშ. ტემპ-რა –4,7°C აგვ. 18,5°C; აბსოლ. მინ. –34°C აბსოლ. მაქს. 36°C. ნალექები 880 მმ წელიწადში, მაქს. – გაზაფხულზე, მინ. – ზამთარში.

თ-ში არის კვებისა და ადგილ. მრეწველობის საწარმოები, სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო, სამუსიკო და სპორტ. სკოლები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამედ. დაწესებულებები, ვაჟა-ფშაველას სახ. კულტ. და დასვენების პარკი მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი.

თ. სააგარაკო ადგილია. მის მიდამოებშია ხუროთმოძღვრული კომპლექსი თიანეთის ცხრაკარა.

მ. ბალიაური

გ. ზარდალიშვილი